საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა «25» 02 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 178/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 19 თებერვლის N 889252 განცხადებით კომპანიის „Continental Teves AG & Co. oHG" (მის: Guerickestrasse 7, 60488 Frankfurt/M, DE) წარმომადგენელმა გიორგი თაქთაქიშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Ate" (რეგ. N 889252) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Ate" (რეგ. N 889252) საქართველოში რეგისტრირებულია 23.09.2004 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 23.09.2014 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 1-ლი, მე-7, მე-9, მე-12, მე-16, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Ate" (რეგ. N 889252) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადით 23.09.2014 წლამდე, 1-ლი, მე-7, მე-9, მე-12 და მე-16 კლასების საქონლის

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

ჩამონათვალის მიმართ, (მოთხოვნის რეგისტრაციის N 168, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.02.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „Continental Teves AG & Co. oHG" წარმომადგენელს გიორგი თაქთაქიშვილს (მის: პეკინის 3, 1-ლი სადარბაზო, ბინა 10, 0171, თბილისი).

მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ

რეგისტრაციის №202423154, 21.09.2007 წ.

პეკინის 3, I-ლი სადარბაზო, ბინა 10, 0171, თბილისი

ტელ: 899-55-17-78, 895-307755

სს "საქართველოს ბანკი", ქ. თბილისი 0105, პუშკინის ქ. №3, ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101502

მიმღები: შპს "მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი", ანგარიშის ნომერი 216041000

19 თებერვალი 2013 წ.

„საქპატენტის" თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი ღვალაძეს

<u>სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგ. # 889252</u>

<u>განმცხადებელი</u>: Continental Teves AG & Co. oHg

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე)

მოგმართავთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი "ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ" შეთანხმებისა და მის საფუძველზე საქართველოში მიღებული "ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე და გთხოვთ შესაბამის რეესტრში შეიტანოთ (დაარეგისტრიროთ) განმცხადებლის – „კონინტინენტალ ტევეს აგ & კო. ოჰგ"-ს (Continental Teves AG & Co. oHg) კუთვნილი, ქვევით მოყვანილი სასაქონლო ნიშანი:

სასაქონლო ნიშანი საერთაშორისო რეგისტრაციის # 889252; საქართველოში გავრცელების თარიღი: 2004 წლის 23 სექტემბერი; მოქმედების ვადის ვადის ამოწურვის თარიღი: 2014 წლის 23 რეგისტრირებულია საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის სექტემბერი; 1-ლი, მე-7; მე-9, მე-12, მე-16, 35-ე, 37-ე, 41-ე და 42-ე კლასების მიმართ.

01 - სამუხრუჭე სითხეები და პასტები.

07 – მექანიკური საშუალებები სატრანსპორტო საშუალებების ნაწილების მონტაჟისათვის, კერძოდ, ბორბლები და სამუხრუჭე ბლოკები; ტრანსპორტის ტუმბოები; მოტორის ელექტროსტარტერები, მოტორით ამძრავი გენერატორები; ზეთით ან გაზით სავსე მაყუჩები, კერძოდ, იმპულსური და სამართავი მაყუჩები; მინიმალური სიჩქარის რეგულატორები.

09 – ელექტრონული ხელსაწყოები და ინსტრუმენტები და მათგან შედგენილი მართვისა და კონტროლის სისტემები, როგორც სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები, კერძოდ, სიჩქარისა და დისტანციური მართვის სისტემები, სიჩქარის გამაფრთხილებელი და მართვის ხელსაწყოები, აგრეთვე, უკუამძრავის მართვის ხელსაწყოები, სატრანსპორტო საშუალების პარამეტრების გამზომი სენსორები, ელექტრონული სქემები და გადამრთველები სატრანსპორტო საშუალების პარამეტრების განსაზღვრისა და შეფასებისათვის; ტაქომეტრები; შეჭიდულობის მართვის

სზრეგ. 889252

19 02 13

...ძები, სტაბილურობის მართვის სისტემები, აგრეთვე, სამუხრუჭე ძალის ელექტრონული და მექანიკური გამანაწილებლები; კალიბრები; მოხვევის კუთხის სენსორები; მოტორიანი ტრანსპორტის ბორბლების კონტროლის სისტემები და მათი ნაწილები, კერძოდ, დეფლაციის დეტექტორები, საბურავის ინდიკატორები; სატრანსპორტო საშუალებების სენსორები; მართვადი აკუმულატორები; სატრანსპორტო საშუალებების ნაწილების, კერძოდ, ბორბლებისა და მუხრუჭების ტესტირების მექანიკური ხელსაწყოები; კაბინის ხელსაწყოები; ცენტრალური ჩამკეტი სისტემები.

12 – სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, რომელიც შეტანილია ამ კლასში; სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები, სახელდობრ, მექანიკური, ჰიდრომექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრო-ჰიდრავლიკური სამუხრუჭე სისტემები, აგრეთვე, ელექტრონულად მართვადი და მათი ნაწილები, კერძოდ, პაკეტირებული ელექტრონული მუხრუჭები, პაკეტირებული მოქმედი მუხრუჭები და ქურდობისაგან დამცავი ხელსაწყოები, გაღების საწინააღმდეგო სისტემები; სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები, სახელდობრ, მექანიკური, ჰიდრომექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრო-ჰიდრავლიკური სამუხრუჭე სისტემის ბორბლების სამუხრუჭე და მოძრავი ხელსაწყოები და მათი ნაწილები, კერძოდ, მუხრუჭის გამაძლიერებლები, მუხრუჭის პედალები, ძირითადი მუხრუჭის ცილინდრები და ზემოჩამოთვლილი ნაწილების შემაერთებელი მილები; სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, სახელდობრ, მართვადი და არამართვადი საჭესამართი მექანიკური, ჰიდრომექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრო-ჰიდრავლიკური სისტემები და მათი ნაწილები, კერძოდ, საჭესამართი ამძრავები; ბორბლების საკიდრები და მათი ნაწილები, როგორც სატრანსპორტო საშუალებების ნაწილები; საბურავიანი ბორბლები; სატრანსპორტო საშუალების ქურდობისაგან დამცავი ხელსაწყოები; სატრანსპორტო საშუალების ბორბლების მართვადი და არამართვადი შასი ზამბარიანი სისტემებით და მისი ნაწილები, კერძოდ, ჰაერის წნევიანი ზამბარები და/ან პნევმატური ზამბარები, ჰაერის მომარაგების აქტიური და არაქტიური მოწყობილობები, მართვადი და არამართვადი ამორტიზატორები და ამორტიზატორის საყრდენები; სატრანსპორტო საშუალების ნაწილების მართვადი მარეგულირებელი მოწყობილობები, კერძოდ, დროსელის სარქველები და გამანაწილებელი ლილვები; სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, სახელდობრ, ღერძები და ღერძის მოდულები; მექანიკური და ვისკოზის ვენტილატორის გადაბმის ქუროები, სატრანსპორტო საშუალების გადაბმის ქუროები და მათი ნაწილები, კერძოდ, წნევის ფირფიტები, დისკოები, აღმგზნები სისტემები და გრიანი მქნევარა ბორბლები; სატრანსპორტო საშუალების მგრეხი მომენტის გარდამქმნელები ხიდური გადაბმით ან მის გარეშე და მათი ნაწილები; სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, სახელდობრ, ელექტროძრავები, კბილა გადაცემები, კერძოდ, გადაცემათა კოლოფები; სატრანსპორტო საშუალების რეზინისა და ლითონის კომბინირებული ნაწილები; სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, სახელდობრ, დროსელის სარქვლები, მაშუქების გასარეცხი სისტემები, საწვავის სისტემები, შეჭიდულობები და მუხრუჭის შლანგები; ელექტრონული ხელსაწყოები, როგორც სატრანსპორტო საშუალების ნაწილები, სახელდობრ, ავარიული სიგნალიზაციის სისტემები.

16 – ჟურნალები, სახელმძღვანელოები, სახელმძღვანელოები და/ან ინსტრუქციები მოტორიანი ტრანსპორტის ნაწილების შეკეთებისათვის.

35 – ტექნიკური და კომერციული ბაზრობების, გამოფენებისა და სარეკლამო ღონისძიებების ორგანიზება; ტექნიკური კონსულტაცია სატრანსპორტო საშუალების გაყიდვის საკითხებში.

37 - სატრანსპორტო საშუალების ნაწილების, კერძოდ, კალიბრების შეკეთება; ტექნიკური კონსულტაცია სატრანსპორტო საშუალების ნაწილების დაყენებისა და გადატანის საკითხებში; ტექნიკური რჩევები სატრანსპორტო საშუალების ნაწილების შეკეთების საკითხებში მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად.

41 – საწვრთნელი შეკრებების ჩატარება.